

რედაქცია: სოლოლაკზე, სერ-გეივის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8.

კანტორა რედაქციისა: სერ-გეივის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Типо-литъ. Въ редакцію газ. „Дროება“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 კაპ., ნ. ხევარ წლისა—4 მ. ნ. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მ. ნ.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

დროება

ცალკე ნომერი ღირს შაშხრათი

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ფასი განცხადებების: ქართულს ებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულ სტრიქონზე—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციის უფლება აქვს გა-ასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდ-თ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდ-ლი სტატიები ავტორს არ დაუბრუნ-დება.

ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ლონდონი, 3 აგვისტოს. საზოგადო-ებათა პალატის სხდომაზედ ბორკმა უპა-სუხა დეპუტატს დილკს: ინგლისის მმარ-თებლობამ არა იცის-რა იმის შესახებ— გადავიდნენ რუსის ჯარები ამუ-ღარის მდინარეზედ, თუ არა; ჩვენ არ შეგვიტ-ყვია, რომ რუსებმა საშუალ-აზიაში მკვი-დრად ჩადგეს ფეხიო. რუსის დანდობი-ლი პირები ძაბულში მივიდნენ. არ ვი-ციტ—ძაბულის ემირსა და რუსეთს შუ-აა დამოკიდებულება და კავშირი არის. ინგლისის ელჩებიც აგრეთვე წავიდნენ ძაბულში.

ნორკოტმა გამოაცხადა, რომ ბეჯი-თად კაცმა არ იცის ჯერ—რას სჩადიან რუსები საშუალ აზიაშიო. ძაბულში გა-გზავნილ რუსის ელჩების მოპირდაპი-რედ ჩვენი ელჩები იქნებიან იქვე.

საქართველო

დღიური

* * * რამდენიმე კითხვა, რომელსაც, უეჭველია, საზოგადო ინტერესი აქვს; ვითხოვთ, ამ კითხვებზე, ვისაც შეუძლი-ან და ვისიც რიგია, ჯეროვანი პასუხი მოგვცენ:

— ნეტავი რა მდგომარეობაშია ჩვენი სინონდალის კანტორიდან 30,000 მანე-თის დაკარგვისა და ამ კანტორის კაზ-ნაჩის უფ. პეტროვისკის დაკავის საქმე?

— ამ ორი-სამი წლის წინათ შუთა-ისში, იქაურ ხელოსან ხალხში და მე-დუქნეებში და აგრეთვე წარმოდგენების საშუალებით ფულები შეკრიბეს გამსეს-ხებელ-შემნახველ ბანკის შესადგენად. ნეტა რა იქნა ის ბანკი და სად გაჰქრა იმისათვის მოგროვილი ფულები?

— შუთაისშივე არსებობდა კერძო საზოგადოება დასახმარებელად ადგილო-ბრივ სასწავლებლების ღარიბ მოსწავ-

ლეთა. ამისთვისაც ფულებს აგროვებ-დნენ, წესდებაზე ხალხს ხელს აწერინებ-დნენ. რა იქნა წესდება? ვისა აქვს ის ფულები?

— რამდენი ფულები მოგროვდა ჩვენს ძალაქში და შუთაისში „ქართული სცე-ნის სასარგებლოდ!“ სად იკარგება ეს ფუ-ლი?

— რა მდგომარეობაშია ახლად-დასა-არსებელი ჩვენი „წერა-კითხვის“ საზო-გადოების საქმე?

* * * ჩვენ შევიტყუეთ, რომ უფ. პეტრე უშიკაშვილი ქართულს საწერ რვეულს, დედანს (проникъ) აბეჭდინებს ტამონის ლიტოგრაფიაში. მა დედანი ამ დღეებში სრულად მზად იქნება და გასასყიდლად გამოვაო.

* * * ამავე ლიტოგრაფიაში იბეჭდება, როგორც გვითხრეს, ახლად შედგენილი ქართული ნოტები იმ ოციოდე ქართუ-ლი სახალხო და საყმაწვილო სიმღერე-ბისა, რომელნიც ამას წინათ იყვნენ „ღროებაში“ დასახელებულნი.

* * * ამ თვის დამდეგიდან მეპურეებმა გირვანქა უბრალო პური, რომელიც ადრე ოთხ კაპეკად ისყიდებოდა, შაუ-რად გახადეს; ყასპებმა გირვანქა ხორცი ორ შაურად (ადრე 7—9 კაპეკად იყო),

მა იყო შედეგი ძალაქს ბამგეობის წევრის უფ. ლოლუხანოვის მოგზაურო-ბისა სხვა-და-სხვა სოფლებში, რომ ხო-რაგი ვაგვიფთო ქალაქშიო?

რატომ ძალაქის ბამგეობა ამ თვის ტაქციას არ აცხადებს. მართალია, ამ ტაქციას ჩვენი ვაჭრები იმდენ ყურადღე-ბას აქცევენ, რამდენსაც შარშანდელს წვიმას, მაგრამ მაინც საინტერესოა შე-ვსატყუოთ—თუ რა განსხვავება იქნება ქალაქის ტაქსასა და ნამდვილ ფასებს შუა.

* * * ნათელ უღელგებისაგან საჩივარი გვესმის, რომ ჩვენ ერთთავად ქურდები-სა და ავაზაკებისაგან შეწუხებულები ვართო და პატრონი კი არაინა გყავს, რომ დაგვეხმაროსო.

* * * ჩვენ შევიტყუეთ, რომ გამომეცი-

ბელს, რომელსაც მინდობილი ჰქონია იმ პოლიციის აუციკრისა და მწერლის საქმე, რომელთაც დუქნის გატეხასა და გაქურდვას აბრალებენ, გაუთავებია გა-მოძიება და პროკურორისათვის გარდა-უცია. ბრალდებულები ამტკიცებენ თურმე, რომ ჩვენ ვიცნობდით იმ დუქ-ნის პატრონსა და ხუმრობით ჩავიდი-ნეთ ეს საქმეო! მაგრამ გამომეციებელი, როგორც ისმის, საქმის გარემოებიდან დარწმუნდა, რომ ეს იყო ნამდვილი ქურდობა და არა ხუმრობა.

* * * მ. მაკარი არხიმანდრიტმა ჩამოიყ-ვანა ქალაქში გურული მგაღობლები, რომელთ გალობაზედაც უნდა შეადგი-ნონ ქართული ნოტები საეკლესიო გალობისა. რადგან ძარბელოვის გალო-ბაზედ ბევრს ლაპარაკობენ, რომ ეს არის ნამდვილი ქართული საეკლესიო გალობაო, ამის გამო, ჩვენის ჰაზრით, ურიგო არ იქნება, რომ ნოტების შედ-გენის ღრის იმის გალობასაც მიაქცე-დნენ ჯეროვან ყურადღებასა.

„ღროების“ კორექსონდენცია

თელავი, 29 ივლისს. პურისა და ქე-რის მოსავალი საქმაოთ მოდის ჩვენს უეზღში, მეტადრე თელავის აღმოსავ-ლეთის მხრის სოფლებში.

შანების მკა სრულიად გათავებულა. მაგრამ მომეტებული ნაწილი ძნა ჯერ არ შემოუტანიათ სოფლებში, რადგანაც ზედ მოსწრებულმა წვიმებმა დაასველეს მომეკილი ყანა და სველი ძნის მოტანა შეუძლებელია.

პურების გაღწევაც ამავე მიზეზით არის ჯერ-ჯერობით შეწყენებული. მა-გრამ ამაზედ თითქმის არავინა სწუხს, რადგანაც ჯერ შარშანდელი მოსავალის პური კიდევ ეგულეებათ ბელლებში, ორმოებში და გოდრებში.

საშინელი ძვირობა არის ღვინისა. რომელ ოჯახშიც რაედენიმე ჩაფი ღვინო არის შენახული, უქონელები შენატრიან იმათ. საწყალი გლეხები მზათ არიან ერთი ჩარეკა ღვინისათვის იმუშაონ მზით გახურებულს დღეში.

წოვეანდელი ვენახებიც ღარიბს იმედს გვაძლევენ ღვინოზედ. მიზეზი, როგორც



მოგესხნებო, არის ნაცარი, რომლის მიზეზი ჯერაც, ვგონებ, ვერავის გამოუკვლიევია. ან რა უნდა გაიგოს კაცმა იმისი: ერთ წელიწადს ინაცრება ვენახში ის ვაზი, რომელი კუთხეც დარჩა გასათიბაფი ანუ გასათოხნი; მამულის პატრონი ფიქრობს, რომ მიზეზი სწორეთ ეს იყოველ და მეორე წლისთვის სულ წმინდათ გადაბრუნებს იმ კუთხეს ბართა და თოხით; მაგრამ შეჰხედავს და უარესი დღე დაემართება.

ნაცარი ყოველ წლივ ჩნდება თიბათვის პირველს რიცხვებში; იმის შემდგომ ზოგს ვაზებს დღითი-დღე უძლიერდება ეს სატიკივარი და ზოგს კი აკარებს პირველათვე შეყრილს ნაცარს. მერც ამისი მიზეზი ვიპოვეთ. მდებია ხალხი ყოველსავე ამას მიაწერს, რასაკვირველია, ღვთის განგებას. შეჰხედებოთ იმისთანა ვაზებს, რომლებზედაც რაედენიმე მტევანი ყურძნისა სალი და უტიკივარია, მაშინ როდესაც ერთი იმოდენივე მტევანი მართლათ შენაცრულია.

ამბობენ, ვითომც იმერეთში გამოჩენილა იმისთანა გამოცდილი კაცი, რომელსაც მრავალ ვენახები მოურჩენია ნაცარისაგან, დაფუჭული გოგირდის ხმარებით. ჩვენს უფსღშიაც იხმარეს ეს ღონის-ძიება, მაგრამ სარგებლობა კი ვერა შეატყეს-რა. ახლა ისმის, ვითომც ის გოგირდი ზევიდგან კი არ უნდა შეაყაროს ვაზს, არამედ ბართთ გამოჩენილს ვაზის ფერსებებს უნდა წააყაროს ეს წამალი და ისე მიაფაროს ზედევი მიწაო. ამასაცა ვსცდით, თუ გვეშველება რამე. მაგრამ, იმერელნო! თუ მართლად იპო-

ვეთ სასარგებლო ამ მიუწოდებელი სატიკივრის განსაკურნებლად რამე, რატომ არ შეგვატყობინებთ კახელებს! თუ აქამდის წიგნის მოწერა გეზარებათ, მაღლობა ღმერთსა „დროება“ აქ არის. რედაქციაში მაინც გამოგზავნეთ თქვენი დარიგება რკინის ურმებით, (რომლითაც ეხლა თქვეა ამაყობთ) და მაშინ იქიდგან ჩვენც ჩქარა შევიტყობთ. იქნება ღმერთმა ჩვენ მხარესაც მოჰხედოს და ჩვენც შევესწრათ რკინის გზას და მაშინ ჩვენც გამოგადგებით ბევრს საქმეში...

ამ ერთ კვირაში აქ სამი უბედურება და შემთხვევა მოხდა და ახალ ამბავს ჯერ ამის მეტს ვერას გვიამბობთ:

შვარლის პოდლესნიი უ. ივანე პავლოვი, რომელიც წინა წლებში ემსახურებოდა მუთაისში, მოგვიკვდა ცხენიდგან ჩამოვარდნით.

ამ გვარივე ბედი ეწვია თიანეთში თხუთმეტის წლის ყმაწვილს.

და მესამე ეს არის, რომ თ. ბ. ჯ-ის ქალი, ნებით თუ უნებლიეთ, ამ დღებში განეშორა მშობლების სახლ-კარს და, როგორც ისმის, ეხლა თფლისში იმყოფება. შამწვილი კაცი, რომელთანაც მიუღია მას მგზავრობა, არის თ. მ. ჯ. ამბობენ, ვითომც სოფელ ხაშმამდინ გაუცილებია ერთს იმათ ნათესავს ყმაწვილსავე კაცსაო; მაგრამ დამტკიცებით ამბობენ, რომ ამ უკანასკნელს არა სცოდნია—თუ ქალი მშობლების ნებადაურთველათ მიდიოდაო; იმას გაუცილებია ისინი, როგორც ნათესაობის მოვალეობა მოიძიხვებოდა. მაჟისა და

ქალის ნათესაებს ყველგან უკანაზღვრით, ვითომც, რომ არა მღვდელმა არ გაბედოს მათი ჯვარის დაწერაო, თუ მათეს ისურვებო.

პუკია

რატა, (დაბა მენი), 27 ივლისს. ხშირად მსმენია ჩვენებური ხალხისგან ეს სიტყვები: „გლეხი რაჭველი ადვილად საქმელიაო!“ და მართლაც რა ესეა. ამითანა მონა, ამითანა მორჩილი და ადვილად გასაცქლები ხალხი, ვგონებ არ უნდა იპოვებოდეს ღუნიანზე..

უკანასკნელი იასაული რომ მივიდეს რომელიმე სოფელში, პოლიციის ჩინოვნიკებისაგან გლეხები მივარდებიან ქუდ-მოგლეჯილნი, მოახსენებენ სალამს, ცხენს ჩამოართმევენ, ქერზე დაუბმენ და თვით იასაულს თუ კარგი ჭაშნიკით პირი არ გაამტკაბარუნებდეს ვაი გლეხების ბრალი! მათრახის ცემით თითო საქალამნე ტყავს ააძრობენ ზურგზე საცოდაებს.

მა უბრალო იასაულის ასე ეშინიანთ, ნაჩაღნიკი, მისი თანაშემწე, პრისტავი და ამისთანა შესანიშნავი დიდი ტუზები რომ მივიდნენ, იმათ კიდე სულ ფეხებქვეშ გეეგებიან.

მერ გაუგიათ საწყალ რაჭველებს, რომ ისინი არ არაან ვალდებული პოლიციის ჩინოვნიკების მუქთად კვებისა; ვერ გაუგიათ, რომ მათ მათი სამსახურისათვის ჯვროვანი ჯამაგირი ეძლევათ.

სულთ ცოდვილო! იქნება კიდეც იციან, იქნება გაგებულიც აქეთ ეს ამბავი;

ფელტონი

ხალხის არაშულოა აბხაზეთში (დასასრული *)

5 აგვისტოს ჰუს ეინ ლაკერბაის მოუვიდა ფაშისაგან ბრძანება, რომ თავის ცოლით გამოცხადდეს იმასთან. ჰუსსეინმა ჯერ გაგზავნა თავის სახლში იერომონახი ბესარიონი და მღვდელი ღვით ახვლედიანი, რომელნიც იმის მთარველობის ქვეშ იყვნენ; მერე ნახა რამდენიმე ვაგლენიანი პირი აბხაზეთაგანი და ურჩია იმათ, რომ არამცა-და-არამც არ დათანხმებულიყვნენ ოსმალეთში გადასახლებაზედ; შემდეგ წავიდა ფაშასთან.

მაგრამ ერთის მხრით შამლატ მარლანიამ თავის მცბიერის ენით და მეორეს მხრით დაიარაღებულმა ოსმალს ჯარმა ძალა-უნებურად შეაძლინეს აბხაზები.

საცოდაობა იყო ხომალდზე გადაყვანილი აბხაზების ნახვა, რომელნიც ოსმალეთში მიჰყავდათ. ისინი ცხარე ცრემლით სტიროდნენ, ხელებს იშვერდნენ ზღვის ნაპირისაკენ და ამნაირად ეთხოვებოდნენ თავის სამშობლო ქვეყანას...

7 აგვისტოს იერომონახმა ბესარიონმა, ლაკერბაის რჩევით, გაუგზავნა შო-

ლოკონიკოვს წიგნი, რომელშიაც ურჩედა, რომ უეცრად დასცემოდა თავს ნაპირზე გამოსულ ოსმალს ჯარს და თუ დაამარცხებოთ, მაშინ მთელი აბხაზეთიც დამშვიდდებო.

საუბედურათ, ეს წიგნი თავის დროზედ ვერ მიუტანეს შოლოკონიკოვს.

მეორე უბედურება აბხაზეთისათვის კიდეც ის იყო, რომ ეს ამბავი როგორღაც შეატყობინეს ფაშას, რომელმანც იმ წამსვე დააჭერინა ჰუსსეინ ლაკერბაი და იმის ცოლი და სანამ აბხაზეთის ნაპირს არ მოშორდა, დაჭერილი ჰყავდა ხომალდზე.

ამის შემდეგ აბხაზები უხელმძღვანელოდ დარჩნენ.

ამავე დროს ოსმალებმა დაატუსაღეს აგრეთვე იერომონახი ბესარიონი და მღვდ. ღვით ახვლედიანი, რომელთაც ზემო ხსენებული წიგნის დაწერაში მონაწილეობის მიღებას აბრალდებდნენ.

როცა ესენი მოიყვანეს ხომალდზე, ფაშამ ჯერ უთხრა ამათ საყვედური, რომ უმადურები ხართო, ხელი არ გახლეთო და თქვენ კი გვიღალატეთო, და მერე გამოუტხადა, რომ ამ ღალატისათვის თქვენ ორივე სიკვდილით უნდა იქნეთ დასჯილნი აქვე, გემზედაო. უკანასკნელი ლოცვისათვის ფაშამ მისცა ამათ ნახევარი საათი ვადა...

ჯავშინან ხომალდზე ფაშასთან იყ-

ნენ ბევრი ჩერქეზები და აფხაზები, რომელთაც 1864 და 1865 წელს მიატოვეს თავის ქვეყანა. ახლა ესენი იმიტომ მოვიდნენ აბხაზეთში, რომ ჰსურდათ ისევ ამ თავის სამშობლო ქვეყანაში დასახლებულიყვნენ. იმედი ჰქონდათ, რომ ოსმალები დაამარცხებდნენ რუსებს და ამ ნაირად დარჩებოდათ განთავისუფლებული თავის საყვარელი სამშობლო. რამდენი მაგალითი მომხდარა, რომ ოსმალეთში გადასახლებულ აბხაზებსა და ჩერქეზებს ვეღარ გაუძლიათ თავის ქვეყნის მოშორება, მიუტოვებიათ ცოლ-შვილი, მოსულან სოხუმში და უთხოვნიათ ჩვენი მთავრობისათვის, რომ ხელ-ახლად დასახლების ნება მოგვეცითო....


ამისთანა ძლიერი სიყვარული აქეთ იმათ თავის სამშობლო ძთებისა და მიწა-წყლისა!...

მოვიდა დრო დატუსაღებულის ორი მღვდლის დასჯისა. მაგრამ ამ დროს ხომალდზე მყოფ ჩერქეზებმა მოიღობა-რაკეს ერთმანეთში, რომ ამათ მოკვლას ჩვენ დაგვაბრალდებენ რუსებო, დაინსნათ როგორმეო და გადასწყვიტეს სთხოვონ ფაშას იმათი პატიობა.

თ. რეშიდ ბეჩს მიანდეს ეს საქმე. ის მივიდა ფაშასთან და ყველა აბხაზების მხრით მოახსენა იმას:

— ფაშა! თქვენ კარგათ ჰხედავთ,

*) „დროება“, № 156



მაგრამ უფ. პრისტავის სილაქი და ცხელ-
ცხელი მათრახები ძალა-უნებურად აგურ-
გულვებნ გლვებებს.

ჯანი გავარდესთ! ზეცემონ, გვიბრა-
გუნონ, ოლონდ კანონიერად კი მოგვექ-
ცნენ. მაგრამ ზოგიერთი ჩვენებურ პო-
ლიციელების შეუბრალებლობა გათქმუ-
ლია მთელს რაჭაში. იქნება ღმერთმა
ბრძანოს და ეს ამბავი გაიგოს იმანაც,
ვისიც ჯერ არს გამოკვლევა ამ ნაირი
უკანონობისა.

ამ ცოტა ხნის წინათ ახლად გასაწევ
მილიციონერების ამორჩევის დროს ერ-
გოთ კენჭი ორ ძმას, რომლებიც მთი-
ულეთ სოფელში სცხოვრებენ; თვით
ამათ ვერ გაბედეს მილიციაში წასვლა და
დაუწყეს ბადაოს ძებნა; ბადაოსთვის მზათ
ქქონდათ პარკში გამოკრული სამოც-და-
ათი თუმანი ფული. აი იმოვეს ბადალი
და უნდა ჩააბარონ დამხადებული ჯამი;
მაგრამ პრისტავმა ნ მ—მ, რომელიც
თურმე ამ გლვებების ნათლია ბრძანდ-
ბა, ისე მოუხერხათ საქმე, რომ გა-
ნათავისუფლათ ამ დავიდარაბისაგან.
ზღვებში პრისტავის ღარიგებით მივიდ-
ნენ ნაჩაღნიკთან და მოახსენეს თავიან-
თი გარემოება შემდეგის სიტყვებით:

— ოქვენო ბრწყინვალეებო! ჩვენ ვართ
სახლში ორნი ძმანი; მილიციონერების
ამორჩევის დროს გვირგო კენჭი, დარად-
განაც მე, ერთი ძმა, „პოდსუდში“ ვარ
მიცემული, ამისათვის უმორჩილესად
გთხოვ განმათავისუფლოთ!“

— ორი ძმადგან ერთს შეგიძლიან
წახედდ სამსახურში; რაიცა შეეხება მას,

რომ შენ „პოდსუდში“ ხარ მიცემული,
ამაზე ჩვენ შეგიძლიან ვაგოთ პასუხი
სასამართლოს. არ იქნება, უნდა წახე-
დდ! უბრძანა ნაჩაღნიკმა.

მაგრამ მეორე დღეს რას გვხვდავთ, რა
გვესმის! ნაჩაღნიკი მიიხმობს იმ გლვს
და განუცხადებს: „შენ თავისუფალი ხარ,
ალარ წახვალ მილიციაშიო!“

წყლს, თუმც კვალანდებული გრილი
ზაფხული არ არის ჩვენს რაჭაში; მაგრამ
საზაფხულო აგარასა და მადნის წყლებს—
შუგრას ჩვეულებრივზე უფრო ბევრი
ხალხი ეწვია. აქ გასინჯეთ უფ. მუთა-
ისის გუბერნატორიც კი მობრძანდა ამ
სოფელში.

აღვილად საქმელ-რაჭველთაგანი

ოქის უაღაგ

რუსეთი

— „მოსკოვის შუგებში“ დაბეჭდი-
ლი ტელეგრამმა გვაცნობებს, რომ 26
ივლ. ოსმალთს ჯარი თითქმის სულ
გასულა მარნიდამ და რუსებს დაუწყე-
ათ ამ ქალაქში შესვლა.

ამავე დღეშის სიტყვით, ოსმალთებ-
მა თითქმის სრულიად გაცარცვეს, აი-
კლეს მარნა და იმის ახლო-მახლო სო-
ფლები და ისე მიატოვეს ეს ქალაქი.

იტალია

მთელს იტალიაში ხალხის მოძრაო-
ბა და კრებები არის ამ ჟამად იმის თა-

ობაზედ, რომ ჩვენ უნდა შევიერთოთ
ის ქალაქები (ტრიესტი, ვენეცია, ზოგიერთები
ნიცსასაც) რომელნიც ავსტრიას (ნიცსა-საფრან-
გეთს) დაუსაკუთრებიაო და რომელშიაც
ჩვენი თანამომძმეები ცხოვრობენო.

მრთს ამ მიტინგთაგანს ამ სიტყვებით
აგვიწერს რომის კორრესპონდენტი გა-
ზეთის „ტამისისა“:

„დღეს, 21 ივლისს, პოლიტიკამის თე-
ატრის დიდს ზალაში მოგროვდა უანგა-
რიზო ხალხი მომხრენი იმ საზოგა-
დოებისა, რომელსაც ჰქვია სახელად
„Italia irredenta“ („მაუთავისუფლებე-
ლი იტალია)“

„მავსმჯდომარის ადგილი დაიჭირა
გამოჩენილი გმირის ბარიბალდის შეილ-
მა მენოტტი ბარიბალდის, რომელსაც
ხალხი დიდს ამბით და „გაუმაჯვოს!“
ყვირილით მიეგებო. მაგრამ უფრო მო-
ძებულ ალტაცებაში მოვიდა ხალხი,
როდესაც შემოიტანეს წითელი ბაირა-
ლი, რომელზედაც ეწერა სიტყვა „ერ-
თობა“

„მიტინგის გახსნისა-თანავე საზოგა-
დოებან წარუდგინეს ორასზე მეტი დე-
პეშა, რომელიც იტალიის სხვა-და-სხვა
ადგილებში და საზოგადოებათაგან
მოსვლოდათ და რომელშიაც გამოცხა-
დებული იყო იმათი თანაგრძნობა ამ
საქმისა. სხვათა შორის იყო დეპეშა
ტრიესტის მცხოვრებლებისა და მოხუ-
ცებულის ბარიბალდისა, რომელიც იწე-
რებოდა შემდეგ სიტყვებს:

„— ღაჩარულთ უფლება აქეთ აღს-

რომ აბხაზეთის სიცოცხლის უკანასკნე-
ლი ჟამი მოახლოვებულა. ლეთის გან-
გებით ჩვენ მოკლებული ვართ ჩვენს
სამშობლო მიწა-წყალს, და მხოლოთ
ერთმა ღმერთმა იცის—რამდენი ტანჯვა
გამოგვივლია ჩვენ მას აქეთ, რაც აბ-
ხაზეთიდან წამოვსულვართ. ახლა იმედი
ალარა გვაქვს, რომ ჩვენ წავართვათ
რუსებს აბხაზეთი და ამ ნაირად ჩვენ
გავაუბედურეთ ის ჩვენი მოძმე და მო-
ნათესავე ხალხიც, რომელიც აქ იყო
დარჩენილი. ოქვენ ამითი ვადასახლება
გნებათ; მაგრამ შეხედეთ ამათ ტიროსს,
ამათ ცოლ-შვილის ვებას! ნუ სჩადი-
ხართ ამისთანა საქმეს! ახლა კიდევ ამ
ორი მღვდლის დახვრეტას აპირებთ. ეს
მძიმე პასუხის-გებაა მთელი ქვეყნის წი-
ნაზე. ინგლისის გაზეთებში სწერდნენ,
რომ რუსები ბარბაროსულად იქცევიან
და ოსმალები კი, თუ არ ომი, ისე არა-
ვისხელს არ ახლებენო. რას იტყვის ქვე-
ყანა, როცა შეიტყობენ, რომ თქვენ და
ხვრიტეთ ორი უბრალო მღვდელი! ჯერ
ივანე მეფიას მოკვლად, გვგონია, მუქ-
თათ არ ჩაივლის და ორ ახალ მსხვერ-
ჭლსაც უმატებთ! მსენი რუსის ქვემ-
ვრდომნი არიან, რუსის პურ-მარდიი უ-
ჭამიან და რა დასამრახისნი არიან, რომ
თავის ქვეყნას გამარჯვებისათვის ცდი-
ლობენ?

ამ სიტყვის მოსმენის შემდეგ, ფაშა
ერთ ხანს დაფიქრებული იყო და მერ-
მე სიტყვა:

— მასრულებ თქვენს თხოვნას. სი-
კვდილისაგან განმითავისუფლებია ეს
მღვდლები, ბათუმში კი წაიყვანეთ.

მაგრამ რამოდენიმე დღის შემდეგ
ისინი გაუშვა ნაპირზე იმ პირობით,
რომ სანამ ოსმალთს ხომალდები არ
წაეღენ აბხაზეთიდან, ფეხი არ მოიცივა-
ლონ.

რაიცა შეეხება სხვა მღვდლებს, მოა-
დგნენ თუ არა ოსმალები აბხაზეთს,
იმ წამსვე თვითონ აბხაზეთმა დამალეს
ისინი მთებში, სადაც არავითარი შიში
არ იყო მტრისა.

თითქმის ყველა აბხაზეტი, რომელიც
ოსმალეთში წავიდნენ, ამბობდნენ, რომ
ჩვენ ჩვენის ნებით არ მივდევართ, ძა-
ლათ მიყუევართო და ამის გამო იმედი
გვაქვსო, რომ რუსის მთავრობა სამხედ-
რო ტყვეთ ჩაგვთვლის ჩვენ, და არა
მოალაპტედ და გაქცეულ პირებათაო.

სულ, დაახლოვებით, 35,000 სულამ-
დისინ ვადასახლდნენ აბხაზეტი ოსმა-
ლეთში.

დასასრულ ორიოდ სიტყვა უნდა
ვსთქვა ჰუსეინ ლაკერბაის ცოლზედ
ჩიზზედ (შკატირინა) ანჩაბადის ასულ-
ზედ.

ჩიზ შესანიშნავი ქალი იყო მთელს
აბხაზეთში თავის სიმშვენიერით, პატი-
ოსნებით, კეთილ-შობილრუი გულით,
სტუმართ-მოყვარეობით და სხვა ყველა
ღირსებით, რაც კი ქალს ამშვენებს.
თავიდაშვე, როდესაც აბხაზეტი და

ჩიჩქეზები შემოვიდნენ აბხაზეთში, ჩიჩ
ლაკერბაის სახლის კარები მულამ ღია
იყო სტუმრებისათვის, რომელნიც, უნ-
და ვსთქვათ, ხან-და-ხან დამშუფლებიც
მოდიოდნენ იმათან. ჩიჩ არაფერს არ
ზოგავდა იმათთვის, რაც კი გააჩნდა.

შველანი, მტერნიც კი, პატარეს სცემ-
დნენ და ენდობოდნენ ჩიჩს. შველა
იმას გაუზიარებდა თავის საიდუმლოს,
თავის დარდს, ბედსა და უბედურობას.
რაც შესანიშნავი ან უბრალო რამ მო-
ხდებოდა, პირველად ჩიჩქეზები და აბ-
ხაზეტი ჩიჩს ეუბნებოდნენ, არავითარ სა-
იდუმლო საქმეს და გარემოებას არ უ-
მალაყდნენ იმას.

ამ ნაირად ამათი სიტყვებიდან აღმო-
ჩნდა შემდეგ, რომ ბევრი პირნი, რომე-
ლნიც სოხუმის და ინგურის ატრიად-
ბის უფროსებთან აყენენ და ერთგულ
პირებად ითვლებოდნენ, სრულებით არ
იყვნენ ღირსნი მთავრობის დანდობისა:
ამათგან ტყობულობდა თურმე ყოველ-
თვის წინათვე მტერი, რაც კი რამ საი-
დუმლო განკარგულება და საქმე ხდ-
ებოდა ჩვენს ატრიადებში. ეს მოალაპ-
ტე და მხოლოთ თავის კერძო სარგებ-
ლობისა და შურის მიმდევარი პირები
რო არ ყოფილიყვნენ, ჩიჩქეზები და
აფხაზეტი თავის დღეში ვერ გაბედად-
ნენ ასე თამამად და დაუბრუნებლად
მოქმედებას..

შკატირინა

დგენ თავიანთ მმართველობის წინააღმდეგ. ტრიესტის ხალხო! ღაიარაღი და შენს მთებზე გადგე!

„პირველი სიტყვა კრების გახსნისათვის თავსმჯდომარემ მენოტტი ბარბალდომ წარმოსთქვა; იმან სთქვა:

— რომის ხალხი იმიტომ შეკრებილია დღეს აქა, რომ გაჰყიფოს ბერლინის ტრაქტატი. ამბობენ, ამ ტრაქტატმა მშვიდობიანობა დააყარა მერპაზიო. ჩემი ჰაზრი ეს არის, და კარგი იქნება, რომ ეს დიპლომატებმაც შეიტყონ, რომ სანამ ყველა ხალხებს თავისუფლება და დაუმოკიდებლობა არ ელირსებათ, მანამ მშვიდობიანობის დამყარებას არაფერ არ უნდა მოელოდე!

ამის შემდეგ ოთხმა ორატორმა ილაპარაკეს, რომელთაც თითქმის ყველამ თანახმად გამოსთქვეს ის ჰაზრი, რომ იტალიას უნდა დაუბრუნდეს თავის მოძმეები, რომელნიც სხვა სახელმწიფოს ხელში ჩაეპრინდა, და თუ ამისთვის რამი საჭიროა, უკან არ უნდა დაეღებოთ.

მიტინგი გათავდა მშვიდობით, წესიერათ, პოლიცია არ გარეგია.

იტალიურს გაზეთებში დაბეჭდილია წიგნი, რომელიც ბარიბალდის რესპუბლიკურ გაზეთის „პაპიტალის“ რედაქტორისათვის მიუწერია:

„საყვარელო მეგობარო ნუეოლარი!

„იტალიამ ჩინებულად და ღირსეულად გამოაქვე თავისი ჰაზრი თავის დაჩაგრულ ძმების შესახებ.

„ჩემი რჩევა ახლა ეს არის, რომ ყველგან იტალიის ხალხმა თათვის სრულის სწავლა და კარგათ ნიშნში ამოღება დაიწყოს. სატყვის შემდეგ მოქმედება არის ხოლმე.

შენი ჯუხუპე ბარიბალდი

განცხადებანი

ქალაქის გამომგობისაგან

თფილისის ქალაქის გამომგობა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამ აგვისტოს 12-ს, იმის თან-დასწრებით, გამგეობის სადგომში იქნება მხოლოდ ერთხელ ვაჭრობა (ნუჲ პერეტორჲკი) იმ ცარიელ მიწის გაუიღვავად, რომელიც ქალაქს ეკუთვნის და რომელიც შეიცავს 55 (ორმოცდა-ხუთმეტს) ოთხკუთხ საყენს. ეს ადგილი მდებარებს ქალაქის მე-15 უჩასტკაში, მეორე განყოფილებაში. (2—1)

ვიხელსონის სტამბაში,

რომელიც იმყოფება ბალავინის პროსპექტზედ, ჩითახოვის სახლში, მიღებულია ყოველ ნაირი ახალი ქართული ურიქტი, ე. ი. ასოები.

მსურველს შეუძლიან მომართოს ამ სტამბას ქართული ბროშურებისა და წიგნების დასაბეჭდათ. (3—2)

ქერძო რეალური სასწავლებელი ი. ა. მელიქ-ბეგლიაროვისა.

თფილისი, ბაღების ქუჩა, სახლი პ. ი. შადინოვისა, № 34. ამჟამად მასსავლელათ რეალურ სასწავლებელში, სამხედრო გიმნაზიაში და სხვა სასწავლებლებში. სასწავლებლის კურსი ეთანხმება მთავრობისაგან დაწესებულს რეალურ სასწავლებლების კურსს. მომავალი სასწავლო წლიდან იხსნება ამ სასწავლებელში მეოთხე კლასის მისაღები ეგზამენი და იწყობა 21 აგვისტოდან, ხოლო სწავლა—1-ს სექტემბრიდან. მიღების პირობები შეიძლება შეიტყოს ყოველ დღე სასწავლებელში. (3—2)

გამომიდა და ისყიდება „თავისუფალი ბატონიშვილი“

ხუთ-მოქმედებიანი დრამა საქართველოს მე-XIII საუკუნის ცხოვრებიდან, გადმოკეთებული ბრ. რჩეულოვის რომანიდან „საქართველოს თამარ ბატონიშვილი“
პ. მესხისაგან.
ისყიდება: თფილისში—ყველა წიგნი მალაზიებში, ქუთაისში—ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.
შასი ჰველგან მჰესი შაური.

დაიბეჭდა და ისყიდება უფ. ბიგო ჩარკიანის წიგნის მალაზიაში—და თელავს სასულიერო სასწავლებელში, უფ. ცანცივეთან ახალი წიგნი.

ლექსთა კრება

თ. ბრიგოლ მრბეოიანისა, ილია ჭავჭავაძისა, აკაკი წერეთლისა, ანტონ შურცეოაძისი, ივანე ძერესელიძისი, იოსებ ბაქრაძისი და სხვებისა. შეკრებილი და გამოცემული შაქარია ჭიჭინაძისა შასი ორი შაური.

რძ. გზა.	დ.ლა.	ს.ლა.	II კ.	III კ.	ტელეგრაფი	მ.ნ.კაბ.	მაზანდა	მ.ნ.კაბ.	თფილისის სამაჲსრნალო
თფილისი . . .	9 21	5 18	კაბ. 8 კაბ.	8 კაბ.	მ.კი სიტყვა თფილ სიღამ:		თფილისი, 4 აგვისტ.		მრენ ს მადანზე, წ. ნამღვარაფის სახლებში.
მცხეთა . . .	10 11	6 27	68	38	ქუთაის, შოთს	1	ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფთ.	180	აგათყოფებს მიიღებენ ყოველ
ბ რა	11 58	9 43	240	133	ბორს; ლუშეთს, სიღანა	50	ფელი წითელი	150	დღე დილს 8 საათადამ 10-მდინ.
ხ.შური	1 29	11 57	392	218	როტოვს, მდებს, მოსკოვ	2	ქერი ფუთი	135	მ რა შაბათს: მერმიშვი და ბა-
სურამი	1 44	4 42	246		პ ტერბულ, მარაფას	2	ბაშა მრეისა, ფუთი	740	რ ლვეჩი—შინ გ. ავთ., შიუჩა-
ქვირილა	5 49	5 81	323		მსმალეთშ, შევიცარიაში.	3	— ამერიკიაა, ფუთი	830	რინტ—თვალისა და ხარუზგიულ.
რიონი	6 5	6 75	375		იტალიაში და ს ფრანგეთში	350	ბაპენტლი ბ მბა ფუთი.	10	ს ა მ შაბათს: მერმიშვი — ში-
სამტრედია	7 51	7 73	429		ინგლისში	375	მატყუი თუშური ფუთი	8	ნ.გ. ბ ქსტა იენეროლოსა და კანის
ახალ-სენაკი	8 43	8 57	476		ფოჩტა		— თრაქამ სა ფუთი	450	ბ. ბ ხუტოვი — საბებო და ბავშვის,
შოთი	9 50	9 75	542		ა) თფილისიდან: ს. მზღვარ გა-		ბრეშუში ნუხური სტ	2	პუნოვი — თვალის.
					რეთ, ქუთაის, რუ სეთა — ყოველ		ქონ, ფუთი	650	მ. თ ხ შაბათი: მერმიშვი ში-
შოთი	9 3				დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და		ქონის ანთ ლი ფუთი	880	ნ. განი, ბაქსტა — გულის და ნერვების
ახალ-სენაკი	10 14		118	66	ხუთშ. მ. შურ. — პ. რასკ. და ორშ. ქა-		სტეარინის ს ნთე	1240	ხუთ შაბათს: მერმიშვი — ში-
სამტრედია	11 5		26	114	ხეთს — ს. მშ. და შაბ. ბ) ქუთაი-		ხორცი ძროხისა, ლიტ	81	ნ.გ. ბაქსტი გულის, ქუჩარინ-
რიონი	12 13		34	169	სიღამ: თფილისისა და შოთის კე-		— ცხვრისა, ლიტრა	90	ცი — იფილიტაკური და საშვილო-
ქვირილა	1 18	ლაშე	398	221	ყოველ დღე, კვირას გარდა. მ. ლუ-		სპირტი, ვედლო	520	სნო ორგანების, ბ. ბ ხუტოვი —
სურამი	5 12	1 10	533	296	გეთს — ორშ. და პარასკ.		შაქარი, ბროც. ფუთი	750	ქალის. და ნერვების.
ხ.შური	5 39	1 37	584	324	წიგნის გაგზავნა რუაეთში	კაბ	— უზენილი ფუთი	560	პარასკევ: მერმიშვი ვი-შ. გ.
ბორი	7 5	4 87	364	9	და სამზღვარ გარეთ:		ქავ გრგვალი, გრგ	70	ბ ბახუტოვი — ქალია და ბ ვშეების.
მცხეთა	8 50	6 59	985	4	ლა წიგნი	4	ხეთი ქუნჯუთი ა ფუთი	13	შაბათს: მერმიშვი შინ გ., ბაქ.
თფილისი	9 31	7 56	975	542	დ ბ ჯიღლს (ს მი მისხალი)	8	თამბაკი, ს შულო ფთ.	850	სტი-გულსა და პუნოვი — თვალის.